.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებასა და თანამშრომელს შორის შრომით ურთიერთობის საკითხებს არეგულირებს შრომის შინაგანაწესი, ბაღში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის (ბრძ. №35. 8626040001 09.02.2026) მუხლი 21. ამავე დოკუმენტის მუხლი 22 არეგულირებს თანამშრომელთა პირადი საქმის შემადგენლობას. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას დგინდება, რომ დაწესებულების თანამშრომელთა პირად საქმეებში არ დევს შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის ინტერვიუირების შედეგად, დგინდება რომ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ხელშეკრულება არ ფორმდებოდა. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის ბრძანებით ხდებოდა პერსონალის დანიშვნა დაწესებულებაში. ხელშეკრულების დადების პრაქტიკა მოგვიანებით (დაახლოებით 2012 წლიდან) დაიწყეს. დღეისათვის, შრომითი ხელშეკრულებები დაწესებულების პერსონალთან, მათ შორის საგანმანათლებლო პერსონალთან ფორმდება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრსა და დასაქმებულს შორის. არსებული შრომითი ხელშეკრულება არ არის შესაბამისობასი დადგენილ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ხელშეკრულების არსებითი პირობები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“. შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულება, მათ შორის არასრული სამუშაო განაკვეთის შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ არსებით პირობებს. ეს არსებითი პირობებია:

ა) ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შესახებ

ბ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა

გ) სამუშაო დრო და დასვენების დრო;

დ) სამუშაო ადგილი;

ე) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა;

ვ) შრომის ანაზღაურება და მისი გადახდის წესი;

ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;

თ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულების მიცემის წესი;

ი) დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი;

კ) კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებები

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #488 დადგენილებისა და ავტორიზაციის სტანდარტების აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისად, საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით სამუშაო საათები, უნდა მოიცავდეს ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკანტაქტო დროს და მათ ფარგლებში განსახორციელებლ საქმიანობათა ჩამონათვალს. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვის ვადით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება დადგენილი წესით, მათ შორის აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავდეს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:

1. ისეთი ხელშეკრულების შემუშავება, რომლითაც განსაზღვრული იქნება სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში თანამშრომლის მოზიდვა შერჩევის პროცესი არეგულირებს სამუშაოზე აყვანის გამჭვირვალე და გაწერილ პროცედურას. რომელიც სტატუსის მაძიებელს განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით (ბრძ. №35. 8626040001 09.02.2026) პერსონალის შერჩევის/დანიშვნის დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობას. დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტით არჩეული აქვს ჰიბრიდული ვერსია: კონკურსი (ღია ან დახურული) და პირდაპირი დანიშვნა. ამ ეტაპისთვის დაწესებულება იყენებს პირდაპირი წესით დანიშვნას. აღნიშნულს ადასტურებს დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას, რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის (ბრძ. №35. 8626040001 09.02.2026) მუხლი 18 ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის შემდეგ მექანიზმებს:

ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) ტრენინგების/ სასწავლო კურსების უზრუნველყოფა

დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანაშმრომლის ინფორმირება;

მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;

თ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება

პერსონალი დაწესებულებაში დასაქმებამდე გადის ადაპტაციას, ეცნობა თანამდებობრივ ინსტრუქციას. ეცნობა დაწესებულების შინაგანაწესსს (ბრძ. №35. 8626061001 01.03.2024), მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრუქტურას, ახალ თანამშრომლებს, ეძლევა ინფორმაცია სამუშაო აღწერილობისა და ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ. გამოცდილებას უზიარებენ და ეხმარებიან ადაპტაციაში, რაც დასტურდება პერსონალთან ინტერვიუთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ. №35. 8626040001 09.02.2026) განსაზღვრავს ორგანიზაციული კულტურის უზრუნველყოფას. ორგანიზაციის მისიის, ხედვის და ღირებულებების გათავისებას, რაც ზრდის თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციას, დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპს რასაც მარეგულირებელ დოკუმენტთან ერთად, ადასტურებს დაწესებულების ღირებულებები - სააღმზრდელო გარემო არის ინკლუზიური, უნივერსალური დიზაინის და ჰოლისტური განვითარების შესაბამისი. აღნიშნულს ასევე ადასტურებს დაწესებულების პერსონალის ინტერვიუირება, რომლის დროსაც პერსონალმა აღნიშნა რომ დაწესებულებაში ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროცესი გუნდურად მიმდინარეობს. მაგალითად, პერსონალი ჩართულია კურიკულუმის შერჩევაში, მისი შესაბამისი გრძლევადიანი თუ მოკლევადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში. შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობასა თუ საგნმანათლებლო რესურსის შერჩევაში. სანიტარია-ჰიგიენის დაცვასა და ბავშვების კვებით უზრუნველყოფაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია
.....
.....

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნების, განვითარებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად განახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას, რაც გაწერილი აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (ბრძ. N№35.8626040001 09.02.2026). თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მექანიზმი არის გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. თანამშრომელთა საჭიროების მოკვლევის მიზანია ფაქტორების იდენტიფიცირება, და თანამშრომლების საქმიანობის შეფასება, აღნიშნულს უზრუნველყოფს სტატუსის მაძიებელი, რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მუხლი 19-ით. პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა გამოყენებულია მათი პროფესიული განვითარებისთვის რაც დასტურდება პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მუხლი 20-ით და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტის (ბრძ. N№35.8626040001 09.02.2026) თანახმად დაწესებულების პერსონალის განვითარების გეგმა ეფუძნება გამოვლენილ საჭიროებებს (მოკვლევა/ანალიზს). პერსონალის პირადი საქმის შეამდგენელი ნაწილია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების დოკუმენტები, დიპლომი/სერტიფიკატები. თუმცა, დგინდება, რომ პერსონალის განვითარება არ ხორციელდება

შემუშავებული გეგმის მიხედვით, პერსონალის ინიციატივების გათვალისწინებით. დაწესებულებას, განსაზღვრული არ აქვს თანამშრომელთა გადასამზადებელი სავალდებულო და მიზანშეწონილი ტრენინგების ნუსხა. დაწესებულებას 2025-2026 წწ. სამოქმედო გეგმაში გაწერილი არ აქვს პერსონალის გადამზადების კონკრეტული ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით - საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება კურიკულუმის შესაბამისად, უსაფრთხოებისა და კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით და სხვ.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც ერთ-ერთი მუხლი თანამშრომელთა ტრენინგებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყოს კონკრეტული ტრენინგები

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის საჭიროებათა მოკვლევებისა და დაგეგმილი ტრენინგების გარდა ითვალისწინებს თანამშრომელთა ინიციატივებსა და სურვილებს, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი(ბრძ. №35.8626040001 09.02.2026) მუხლი 19, სადაც გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი. ასევე ინიციატივები პერსონალის მხრიდან იკვეთება ზეპირსიტყვიერადაც. სტატუსის მაძიებელი ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (ბრძ. №35.8626040001 09.02.2026) არსებული ჩანაწერები დასტურდება პრაქტიკაში პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 09 თებერვლის ბრძანება №35. 8626040001 ბრძანება პერსონალური მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
3. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 27 ივნისის ბრძანება №86. 862217818 ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ;
4. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის წესდება
5. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 01 მარტის ბრძნება №35. 8626061001„ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღების შინაგანწესის დამტკიცების შესახებ
6. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღების შინაგანწესი
7. 2026 წლის ბიუჯეტი
8. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
9. საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
10. პერსონალის პირადი საქმეები;
11. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესი
12. ახმეტის #1 საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმა;
13. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ.

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის N№35. 86260919 ბრძანება „ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის“ „პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ“. თავად დოკუმენტის წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს ბრძანების შესაბამისად „პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ შემუშავება მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების იდენტიფიცირებისა და აღწერის მიზნით.

რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:
1. „პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ შემუშავება

მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების იდენტიფიცირებისა და აღწერის მიზნით. 2. დოკუმენტის დამრტკიცება. 3. დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის N№35. 86260919 ბრძანება „ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის“ „პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ“ . თავად დოკუმენტის წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბრძანების შესაბამისად „პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ შემუშავება

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:

1. „პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ შემუშავება

მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების იდენტიფიცირებისა და აღწერის მიზნით. 2. დოკუმენტის დამრტკიცება. 3. დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მართვის ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრძანება # ბ35. 862604933 ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის“ „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს თავსართზე მითითებულია ბრძანების სხვა ნომერი - „დამტკიცებულია დირექტორის/ახმეტის საბავშვო ბაღების ცენტრის ხელმძღვანელის 2026 წლის #ბ35. 86260919“

ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი“ ახდენს საბავშვო ბაღში ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესის ადმინისტრირებას „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მიხედვით. ამ წესის მიზანია ბავშვის რეგისტრაციისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის სისტემის რეგულირება, პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მე-2 მუხლის შესაბამისად დაცულია: ა) კანონიერება; ბ) თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა; გ) გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება; დ) თემის/რეგიონის საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინება; ე) მართვის მოქნილობა და ეფექტიანობა. მე-3 მუხლის მიხედვით ახმეტის ბაღების ცენტრი ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესს ახორციელებს მატერიალური ფორმით, ნაბეჭდი ფორმების/განცხადებების გამოყენების გზით. შევსებული განცხადების მიღება ხდება როგორც ადგილზე დაწესებულებაში მისვლით, ასევე საფოსტო ან ელექტრონული გზავნილების სახით. რეგისტრაციის მსურველისთვის დარეგისტრირების დასტურის, ან მომლოდინეტა სიაში მოხვედრის შესახე ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სატელეფონო კავშირით.

ბავშვის ჩარიცხვა ხორციელდება დირექტორის/გაერთიანების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია, სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინილი ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მართვის ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრძანება # ბ35. 862604933 ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის“ „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს თავსართზე მითითებული ბრძანების ნომერი - „დამტკიცებულია დირექტორის/ახმეტის საბავშვო ბაღების ცენტრის ხელმძღვანელის 2026 წლის #ბ35. 86260919“ მოიყვანოს შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მართვის ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრძანება # ბ35. 862604933 ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის“ „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს თავსართზე მითითებულია ბრძანების სხვა ნომერი - „დამტკიცებულია დირექტორის/ახმეტის საბავშვო ბაღების ცენტრის ხელმძღვანელის 2026 წლის #ბ35. 86260919“

დაწესებულებაში ბავშვის პირადი საქმეების წარმოებას არეგულირებს „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“. ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების მენეჯერს.

პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას არეგულირებს საბავშვო ბაღის შინაგანაწესი და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (ბრძ. Nბ35. 8626040001 09.02.2026). ამ დოკუმენტის მუხლი 22-ის თანახმად, თანამშრომელთა პირადი საქმეები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი

ბ) რეზიუმე;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი;

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;

თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);

ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი

წარმოდგენილი პირადი საქმეები არ შეიცავდა დადგენილი წესით განსაზღვრულ ინფორმაციას.

საბავშვო ბაღის შინაგანაწესის მუხლი 3-ის მუნქტი 4-ის მიხედვით, დასაქმებისთვის წარსადგენი დოკუმენტაციაა:

ა) პირადი განცხადება

ბ) cv

გ) შრომის წიგნაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ;

დ) დასაკავებელი თანამდებობისთვის განსაზღვრული განათლების ან/და პროფესიული მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლკ) ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა (ბაღის შინაგანაწესში გასასწორებელია ეს ჩანაწერი);

ვ) ჯანმრთელობის ცნობა;

ზ) ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ;

თ) ნარკოლოგიური ცნობა;

ი) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

ლ) 2 (3*4) ცალი ფოტოსურათი.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანაწესისა და ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი"-თ პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ არის თანხვედრა. გარდა, ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირადი საქმეები არ არის მოწესრიგებული და შეიცავს მინიმალურ ინფორმაციას ორივე დოკუმენტის ჩამონათვალიდან. კერძოდ, არცერთ პირად საქმეში არ დევს ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან, ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ; ნარკოლოგიური ცნობა; ცნობა ნასამართლეობის შესახებ; ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.

2025 წლიდან დანიშნულ პერსონალის პირად საქმეებში დამატებით დევს:

- სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა#100/ა ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
- ვადაგასული ხელშეკრულებები

ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმე არის კონფიდენციალური. პირადი საქმეები ინახება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში. დაწესებულებას არ აქვს საქმისწარმოების დადგენილი წესი, რომელიც არეგულირებს საბავშვო ბაღში დოკუმენტების მომზადების, მიღების, რეგისტრაციის, გადაცემის, შენახვისა და არქივის წარმოების ერთიანი წესს, დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით აწარმოოს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეები დადგენილი წესის შესაბამისად

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:

1. ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოება დაწესებულებაში დადგენილი წესების შესაბამისად.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.
.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მართვის ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრძანება # ბ35. 862604933 ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის“ „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ;
2. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (2026 წლის #ბ35. 86260919);
3. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის Nბ35. 86260919 ბრძანება „ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის“ „პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
4. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 09 თებერვლის Nბ35. 8626040001 ბრძანება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის პერსონალური მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
5. პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი
6. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 01 მარტის Nბ35. 8626061001 ბრძანება „ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღების შინაგანწესის დამტკიცების შესახებ“;
7. „ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღების შინაგანწესი
8. პერსონალის პირადი საქმე
9. ინტერვიუ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის წარმომადგენელთან და დაწესებულების პერსონალთან

შეფასება:

4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული “დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“, (ბრძ. №35. 8626041920 18.02.2026). აღნიშნულ მექანიზმში აღწერილია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საბავშვო ბაღის მედდა. ბავშვებთან უშუალოდ შეხებაში მყოფ პერსონალთაგან 3 მათგანს, მათ შორის მედდას აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) დასტურდება პირადი საქმეებით.

დოკუმენტში, მუხლებისა და პუნქტების მიხედვით დეტალურადაა გაწერილი - პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, პირველადი გადაუდებელი დახმარება გულის წასვლის დროს, ხელოვნური სუნთქვის ჩატარება,გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახება, პირველადი დახმარება სამედიცინო ტრამვის დროს, პირველადი დახმარება საჭმლის გადაცდომის დროს, ცხვირიდან სისხლდენის დროს, დამწვრობის დროს და სხვა პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები.

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის განკუთვნილია სპეციალური სივრცე, სადაც ზის მედდა. აღნიშნული სივრცე მოწყობილია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ვიზიტის დროს სივრცე სამეურნეო დანიშნულებისთვის იყო გამოყენებული.

დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მათვის გეგმა და ხანძარსაწინააღმდეგო და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა. წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით.

საევაკუაციო გეგმები და ვიზუალური მინიშნებები გამოკრულია ბაღის შენობაში შესაბამის ადგილას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში (12 თვე) საგანგებო სიტუაციების მათვის გეგმისა და ხანძარსაწინააღმდეგო და შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნის მომზადება

რჩევა

სასურველია,

- პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის განკუთვნილია სპეციალური სივრცე არ იყოს გამოყენებული სხვა დანიშნულებისათვის;
- საგანმანათლებლო პერსონალისათვის ყოველწლიურად ახლდებოდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციები შესაბამისი სწავლებით, სიმულირებით, ტრენინგით და სხვა. სასურველია, პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და აღსაზრდელების სწავლება, სიმულირება განხორციელდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ. სწავლება, სიმულირება ითვალისწინებს მათთვის საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების გამომუშავებას.
- დაწესებულებამ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისას ითანაწმრომლოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:
1. ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების დროულად და ჯეროვნად შესრულება, კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოებთან კომუნიკაცია, შესაბამისი აქტივობების განხორციელება და შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობისა და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადება. უფლებამოსილ ორგანოსთანსაგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება და დამტკიცება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს აღრიცხული დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარი და არ ფლობს ინფორმაციას არსებული მცენარეების უსაფრთხოების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დამაკმაყოფილებელი

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღრიცხვა, ბავშვებისა და დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების მექანიზმის/წესის მომზადება-დამტკიცება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:
1. კომპეტენტური პირის მოძიება; 2. აღნიშნული პირის მიერ ტერიტორიაზე არსებული მცენარეების აღწერა და მათი უსაფრთხოების შეფასება. 3. ბავშვებისა და დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების მექანიზმის/წესის შემუშავება; 4. წესის დამტკიცება; 5. დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკუკუმით განსაზღვრული თემის ჩართულობით გასახორციელებელი აქტივობების განხოორციელებისას, როგორიცაა ბავშვების გაყვანა თემში არსებულ სხვადასხვა ლოკაციებზე, ბავშვის უსაფრთხოების დაცვისა და მშობელთა ინფორმირების მიზნით გაერთიანებას შემუშავებული აქვს ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის, ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყვების ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა.

დაწესებულებას, ,,ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მუხლი მე-5, პუნქტი 7-ის მიხედვით, აუცილებელ მოთხოვნად მითითებული აქვს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის) რაც წარმოადგენს ბავშვის პირადი საქმის ნაწილს.

პერსონალმა ინტერვიუირებისას აღნიშნა, რომ გაერთიანებას შემუშავებული აქვს ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის, ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყნების ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა, თუმცა მისი შაბლონის წარმოდგენა ვერ მოხერხდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშოს პერსონალისა და ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას უსაფრთხოების ნორმების დაცვის მარეგულირებელ მექანიზმს. ასევე მშობლების ინფორმირებულობას და ნებართვას (წერილობით ფორმით) ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ. ბავშვთა უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის დეტალური გეგმის გაწერას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შენობაში განთავსებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური მინიშნებები, ცენტრებში გადასაადგილებლად, სადაც თვალსაჩინოდ, ნახატებით არის წარმოდგენილი დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, რაც დაეხმარება ბავშვებს დროისა და აქტივობების, დაწესებულების სივრცის თანმიმდევრულობის აღქმაში. ასევე, ნახატების სახით წარმოდგენილია ქცევის წესები. დაწესებულებამ წარმოადგინა დასურათებული დღის განრიგი, რომელიც ასახავს ბავშვებისათვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობას. ბავშვები თავს უფრო დაცულად გრძნობენ როცა აქვთ გარკვეული მოლოდინები მიმდინარე დღის მიმართ. დღის განრიგი საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს და ორგანიზებულს ხდის, რაც გარკვეულ წესრიგს უზრუნველყოფს. აღნიშნულს ასევე ადასტურებს დაწესებულების აღმზრდელთან ინტერვიუირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს, რაც დასტურდება თანამშრომელთა პირადი საქმეებითა და დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუთი. დაწესებულების პერსონალი ფლობს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ გაცემული სერტიფიკატი ადასტურებს, რომ დაწესებულების მენეჯერს გავლილი აქვს ტრენინგი "ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები".

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ მეტად იზრუნოს და საგანმანათლებლო პერსონალის ცნობიერება აამაღლოს ბავშვის უფლებებისა და საქმიანობის წარმართვის პროცესში მათი დაცვის მიზნით და სამოქმედო გეგმაში გაწეროს შესაბამის ტრენინგებში მათი ჩართვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი "ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი" (ბრძ. #ბ35. 8626041925), სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. დოკუმენტი დამტკიცებულია ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორის მიერ. დოკუმენტი შედგენილია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტი შედგენილია ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრში შემავალი ყველა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებისათვის. დოკუმენტის შინაარსი მოიცავს ინსტრუქციის სამართლებრივ საფუძვლებს; ზრუნვას და მეთვალყურეობას; სამსახურის ერთეულების (საბავშვო ბაღები) კომპეტენციას მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში; ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენას; ბავშვზე ძალადობის შემთხვევისდ ადგილზე შეფასებას; რეფერირების პროცედურების ფარგლებში სამსახურის ერთეულებში მყოფი ბავშვების რეგისტრაციას და ინფორმაციის ზრუნვის სააგენტოსათვის მიწოდებას; კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებს და ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების შეუსრულებლობას. დოკუმენტის მიზანია არასრულწლოვანი აღსაზრდელის (ბავშვის) ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის ხელშეწყობა, ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა.

დოკუმენტის მუხლი 4-ის პირველი პუნქტის თანახმად, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით ინდივიდუალურად, თითოეული საბაშვო ბაღისთვის. აღნიშნული ბრძანება დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. დაწესებულებას არ ჰყავს ბრძანებით დამტკიცებული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი..

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით, ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრმა, "ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი" (ბრძ. #ბ35. 8626041925) თანახმად, უზრუნველყოს დაწესებულებისათვის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:
1. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის შერჩევა; 2. პირის ინსტრუქტაჟი; 3. შესაბამისი ბრძანების გამოცემა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დოკუმენტურად არ აქვს გაწერილი ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის ხელშემწყობი მექანიზმები.
ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პრაქტიკაში იყენებს ადაპტაციის ფორმებს. კერძოდ, მშობლის დასწრებას ბავშვის შეგუების საწყისს ეტაპზე, მრავალფეროვან სტრატეგიებს, მშობელთა აქტიურ ჩართულობას სწავლის დაწყების ეტაპზე, ეზოს აქტივობებს, მუსიკალურ გადასვლებს, რაც ხელს უწყობს ბავშვებს ემოციური სირთულეების დაძლევაში და ადაპტაციის პროცესის მარტივად გამკლავებაში, რათა ეს პროცესები იქცეს განვითარებისა და სწავლის შესაძლებლობად და არ იყოს დამთრგუნველი ბავშვისათვის.
ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი, იზრუნებს აღნიშნულ საკითხზე და ცენტრში შემავალი საბავშო ბაღებისთვის შექმნის დოკუმენტს, რომელშიც ბავშვის სახლიდან ბაღში ტრანზიციისა **და** ბავშვის ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცედურები, ასევე, ყოველდღიური, მოკლე ტრანზიციების გასაადვილებლი ერთი აქტივობიდან მეორე ატივობაზე გადასვლის სხვადასხვა სტრატეგიები იქნება გაწერილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშაოს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას ეფექტური მექანიზმი.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:
1. ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას ეფექტური მექანიზმის შემუშავება; 2. დამტკიცება; 3. მექანიზმის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა წარმოადგინა დოკუმენტი „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (ბრძ. # N635. 8626041925 18.02.2026), რომლის მუხლი 6 არეგულირებს ინფორმაციის კონფიდენციალურობას და რეფერირებასთან დაკავშირებულ პროცედურულ წესებს. თუმცა, ასეთ კონკრეტულ შემთხვევებში გაწერილი პროცედურების გარდა, დაწესებულებას, თავისი საქმიანობით გამომდინარე, აქვს ვალდებულება სხვადასხვა პერსონალურ მონაცემები - პერსონალის, ბავშვისა და მისი ოჯახის მშობლების/ოჯახის შესახებ ჰქონდეს დაცული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სტატუსის მაძიებელი უნდა იცავდეს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას და ეს დასტურდებოდეს შემუშავებული დოკუმენტით, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული საბავშვო ბაღში პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები, პირობები და დაცვის მექანიზმები საქართველოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ “კანონის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშაოს ბაღის კონფიდენციალურობის პოლიტიკა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ "კანონის შესაბამისად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:

1. ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას ეფექტური მექანიზმის შემუშავება; 2. დამტკიცება; 3. მექანიზმის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მართვის ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრძანება # N№35. 8626041920 "დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი"-ს დამტკიცების შესახებ;
2. "დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი";
3. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მართვის ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრძანება #№35. 8626041925 „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი"-ს დამტკიცების შესახებ;
4. "ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი" (ბრძ. #№35. 8626041925)
5. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მართვის ცენტრის დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის ბრძანება # №35. 862604933 ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის" „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის" დამტკიცების შესახებ;

6. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (2026 წლის #ბ35. 86260919);
7. პირადი საქმეები
8. ვიზუალური დათვალიერება
9. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
10. ინტერვიუირება

4.7. ფინანსური რესურსი

შეფასება:			
4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის ბიუჯეტი, რომელშიც მოცემულია ცენტრის შემადგენლობაში შემავალი სკოლამდელი აღზრდის ყველა საჯარო დაწესებულების ფინანსური მონაცემები გაერთიანებულად. კონკრეტულად ახმეტის #1 საბავშვო ბაღისათვის განკუთვნილი ხარჯათღრიცხვა/ბიუჯეტი, რაც კი სჭირდება დაწესებულებას ფინანსური რესურსით უზრუნველსაყოფად, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, გამიჯნული არ არის.

დაწესებულებას სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქვს სამოქმედო გეგმის (ყველა დაწესებულების) შესასრულებლად შესაბამისი ფინანსური რესურსი.
დაწესებულება ფინანსურად მდგრადია და შესაბამისად, დაწესებულების სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსებით.

წარმოდგენილ ბიუჯეტში გაწერილია სამოქმედო გეგმის თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი, 2025 წლის ფინანსური ხარჯვის დოკუმენტი და ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის 2025 წლის წლიური ნარატიული ანგარიში. 2026 წლის ბიუჯეტი, რომელიც ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ არის დამტკიცებული (16.01.2026 წ.), მოიცავს ცენტრის შემდგენლობაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღისთვის გაერთიანებულად, მუხლობრივად ჩაშლილ თანხებს. კონკრეტულად ახმეტის #1 საბავშვო ბაღისათვის განკუთვნილი ხარჯათღრიცხვა/ბიუჯეტი, რაც კი სჭირდება დაწესებულებას კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევად, წარმოდგენილ ბიუჯეტში არ ჩანს. 2025 წლის ფინანსური ხარჯვის დოკუმენტის ფორმატიც არ იძლევა ინფორმაციას ცენტრში შემავალი საბავშვო ბაღებისათვის (თითოეული მათგანისთვის) რა ოდენობის ფინანსები დაიხარჯა. ასევე, ამ დოკუმენტში დაზუსტებით არ ჩანს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევად რა თანხები დაიხარჯა 2025 წელს. ზემოთ აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს პერსონალის სახელფასო ფონდის უზრუნველყოფას, კომუნალურ გადასახადებს, კვებას, კაპიტალურ ხარჯებს, სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯებს, ტრენინგების ხარჯებს და სხვ. თუმცა ცენტრის მიერ წარმოდგენილი 2026 წლის ბიუჯეტით, რა სახის თანხა არის გამოყოფილი სათამაშოების, სახელმძღვანელოების, სასწავლო მასალების და სხვ. შესაძენად, არ ჩანს. ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის 2025 წლის წლიური ნარატიულ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა საბავშვო ბაღების თანამშრომელთა 30%, საბავშვო ბაღებისთვის შეძენილი იქნა პრინტერები და კომპიუტერები (რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით და ვიზუალური დათვალიერებით), საბავშვო ბაღების საჭიროებისთვის შეძენილი იქნა საკანცელარიო ნივთები და წიგნები.
წარმოდგენილი დოკუმენტებით იმის დადგენა, თუ რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ყოველწლიურად უნდა ითვალისწინებდეს განსაზღვრული რაოდენობის ფინანსურ რესურსს, რაც საჭიროა მის მიერ დამტკიცებული კურუკულუმის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით , დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობები:

1. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ისეთი თავის/პუნქტის დამატება, რომელითაც შესაძლებელი იქნება კურიკულუმის განხორციელების უზრუნველსაყოფი ყოველწლიური ფინანსური განსაზღვრა.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 12 თვე (მეტწილი). აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი - 06/05/2027 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დაფინანსება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად. დაწესებულების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. დაწესებულება მუნიციპალიტეტში წარადგენს ფინანსურ ხარჯთაღრიცხვას.

